

**პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის  
კურსდამთავრებულთა ასოციაციის დებულება**

დოკუმენტის თავდაპირველი რედაქცია:

N	გადაწყვეტილების მიმღები ორგანო	ოქმის/ბრძანების ნომერი	თარიღი
	რექტორი	ბრძანება N215	11.07.2018

განხორციელებული ცვლილებები

N	გადაწყვეტილების მიმღები ორგანო	ოქმის/ბრძანების ნომერი	თარიღი	მუხლი	შინაარსი

## **მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

კურსდამთავრებულთა ასოციაცია (შემდგომში - ასოციაცია) ხელს უწყობს თსა-ს და მისი კურსდამთავრებულების ინტერესებს, კეთილდღეობასა და საგანმანათლებლო მიზნებს, ორმხრივად სასარგებლო ურთიერთობების დამკვიდრებას და შენარჩუნებას და მათ უწყვეტ ჩართულობას თსა-ს საქმიანობაში.

## **მუხლი 2. კურსდამთავრებულთა ასოციაციის მიზნები**

ასოციაციის მიზნებია:

1. ასოციაციის წევრებს შორის გრძელვადიანი პირადი და პროფესიული ურთიერთობის ჩამოყალიბება და განვითარება;
2. თსა-ს კურსდამთავრებულთა და თსა-ს სტუდენტთა საქმიანი ურთიერთობის ჩამოყალიბება და განვითარება;
3. თსა-ს დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულთა განვითარების და მიღწევების შესახებ ინფორმაციის გაზიარება;
4. კურსდამთავრებულთა კარიერული ზრდის ხელშეწყობა;
5. თსა-ს საქმიანობის მხარდაჭერა;
6. სტუდენტებთან და სტუდენტურ გაერთიანებებთან ურთიერთობა;
7. კურსდამთავრებულთა საქმიანობაში სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლება.

## **მუხლი 3. ასოციაციის წევრობა**

- 3.1 ასოციაციის წევრობა ხელმისაწვდომია თსა-ს ნებისმიერი კურსდამთავრებულისთვის. ასოციაციის წევრად რეგისტრაცია ხორციელდება ელექტრონულად, შესაბამისი ელექტრონული ფორმის შევსების გზით (<http://goo.gl/vcV5T2>; <https://goo.gl/xHzKV6>).
- 3.2 ასოციაციის წევრები ვალდებული არიან დაესწრონ ასოციაციის სხდომებს. წინასწარი გაფრთხილების გარეშე ზედიზედ ორჯერ სხდომაზე დაუსწრებლობა ან/და წინამდებარე დებულების მე-7 მუხლით გათვალისწინებულ საქმიანობაში ჩართვის თავის არიდებამ შეიძლება გამოიწვიოს ასოციაციის წევრობის შეწყვეტა.
- 3.3 ასოციაციის თითოეული წევრი არის ასოციაციის წარმომადგენელი.

## **მუხლი 4. ასოციაციის მართვის ორგანო**

- 4.1 ასოციაციის მართვის ორგანოა აღმასრულებელი კომიტეტი, რომლის წევრები აირჩევიან ასოციაციის წევრებისგან ელექტრონულად, ფარული კენჭისყრის საფუძველზე.
- 4.2 აღმასრულებელი კომიტეტის წევრობის კანდიდატად შესაძლებელია როგორც საკუთარი თავის წარდგენა, ასევე, რამდენიმე წევრის მიერ კანდიდატის დასახელება.
- 4.3 კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს წინამდებარე დოკუმენტის მე-6 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
- 4.4 აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობის განახლება ხორციელდება 4 წელიწადში ერთხელ.

4.5 აღმასრულებელი კომიტეტი თავისი შემადგენლობიდან 2 წლის ვადით ირჩევს ასოციაციის თავმჯდომარეს.

#### **მუხლი 5. აღმასრულებელი კომიტეტის წევრობა და თავმჯდომარის არჩევნები**

- 5.1 აღმასრულებელი კომიტეტის დაკომპლექტება ხორციელდება განცხადების წარდგენის საფუძველზე. განცხადება შეიძლება წარდგენილ იქნეს როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური ფორმით, კარიერული მხარდაჭერის, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახურის სახელზე.
- 5.2 აღმასრულებელი კომიტეტი შედგება არანაკლებ სამი წევრისგან.
- 5.3 ასოციაციის თავმჯდომარის არჩევა ხორციელდება ფარული კენჭისყრის საფუძველზე, სამართლიანობის პრინციპის დაცვით.
- 5.4 ხმის მიცემა ხორციელდება ელექტრონულად.
- 5.5 არჩევნების თარიღი ცხადდება არჩევნების ჩატარებამდე მინიმუმ 60 კალენდარული დღით ადრე. კანდიდატების რეგისტრაცია სრულდება არჩევნების თარიღამდე არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა.
- 5.6 თავმჯდომარის თანამდებობას იკავებს ის პირი, რომელიც მიიღებს ყველაზე მეტ ხმას.
- 5.7 ხმების თანაბარი რაოდენობის შემთხვევაში, ტარდება მეორე ტური წინამდებარე დოკუმენტის 5.2 და 5.3 პუნქტების შესაბამისად. თავმჯდომარის თანამდებობას იკავებს ის პირი, რომელიც მიიღებს ყველაზე მეტ ხმას.

#### **მუხლი 6. მოთხოვნები ასოციაციის თავმჯდომარის მიმართ და მისი ფუნქციები**

- 6.1 მოთხოვნები ასოციაციის თავმჯდომარეობის კანდიდატის მიმართ:
  - 6.1.1 ხედვის წარმოდგენა;
  - 6.1.2 მოტივაციის წარმოდგენა;
- 6.2 ასოციაციის თავმჯდომარის ფუნქციები:
  - 6.2.1 ასოციაციის სხდომების ხელმძღვანელობა;
  - 6.2.2 აღმასრულებელი კომიტეტის წევრებთან ერთად ასოციაციის სტრატეგიის განსაზღვრა;
  - 6.2.3 აღმასრულებელი კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების კონტროლი;
  - 6.2.4 ასოციაციისთვის და თსა-ს რექტორისთვის ასოციაციის საქმიანობის შესახებ წლიური ანგარიშის წარდგენა;

#### **მუხლი 7. ასოციაციის წევრების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები**

- 7.1 მოკლევადიანი კურსების და სამუშაო შეხვედრების ორგანიზება;
- 7.2 თსა-სთან ერთად სამეცნიერო ფორუმების, კლინიკური კონფერენციების მოწყობა და მათში მონაწილეობა;
- 7.3 საჯარო ლექციის ჩატარების განრიგის შედგენა და განხორციელება;
- 7.4 კონტაქტების დამყარება ან არსებული კონტაქტების მეშვეობით სტუდენტებისთვის საზღვარგარეთ სწავლის მიზნით კონსულტაციის გაწევა;
- 7.5 უცხოელი კოლეგების თსა-სთან კონტაქტის დამყარების ხელშეწყობა და ერთობლივი ლექცია-სემინარების ჩატარების ორგანიზება;
- 7.6 სტუდენტებისთვის და პედაგოგიური პერსონალისთვის ტრენინგების ჩატარება;

- 7.7 ტრენერების მოძიება;
- 7.8 თსა-სთან ერთობლივი კვლევების დაგეგმვა და განხორციელება;
- 7.9 სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლების მიზნით, საზოგადოებისთვის საინტერესო და აქტუალური დაავადებების, მათი მკურნალობისა და პრევენციის შესახებ თსა-ს პერსონალისა კურსდამთავრებულთა ერთობლივი პოპულარული ლექციების მომზადება, ჩაწერა და ინტერნეტ სივრცეში განთავსება;
- 7.10 თსა-ს კვლევით პროექტებში ჩართულობა;
- 7.11 დიპლომისშემდგომი განვითარების გეგმის შექმნასა და განხორციელებაში მონაწილეობა;
- 7.12 საგანმანათლებლო პროგრამის შექმნაში მონაწილეობა;
- 7.13 კურიკულუმის გარე აქტივობებში მონაწილეობა;
- 7.14 თსა-ს მიერ ჩატარებულ გამოკითხვებში მონაწილეობა;
- 7.15 სტუდენტურ კვლევებში ჩართულობა;

### **მუხლი 8. აღმასრულებელი კომიტეტის სხდომები**

- 8.1 აღმასრულებელი კომიტეტის სხდომები როგორც წესი ტარდება წელიწადში 2-ჯერ, გაზაფხულსა და შემოდგომაზე.
- 8.2 სხდომის რიგგარეშე მოწვევის უფლება აქვს ასოციაციის თავმჯდომარეს, წევრთა არანაკლებ 1/2 -ს და აღმასრულებელი კომიტეტის არანაკლებ 1/2 -ს.
- 8.3 სხდომაზე დასწრება დასაშვებია როგორც სხდომის ჩატარების ადგილზე გამოცხადებით, ასევე, Skype-ის მეშვეობით.
- 8.4 აღმასრულებელი კომიტეტის სხდომებზე გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრე პირთა ხმათა უმრავლესობით.
- 8.5 განსახილველი საკითხის წამოყენების უფლება აქვს ასოციაციის ყველა წევრს.